გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით ადუაშვილის

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 16 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 205 საკითხის განხილვაში.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე. დავესწარი ფრაქციის 9 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 156 საკითხის განხილვაში.

ასევე ვარ ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი დავესწარი 9 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 22 საკითხის განხილვაში. ასევე ვარ საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრი, დავესწარი კომისიის 4 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 6 საკითხის განხილვაში.

მთელი წლის განმავლობაში სისტემატიურად ვხვდები როგორც საკრებულოში მოსულ მოქალაქეებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ასევე ჩემს მაჟორიტარულ ოლქში, სადაც გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები, რომელიც სისტემატიურად მოგვარების პროცესშია:

- დაიგო 300 მეტრის სიგრძის ასფალტის საფარი (მაღაზიიდან სკვერის მიმართულებით). აღნიშნულ ტერიტორიაზე მოეწყო სარწყავი არხები.
- ასეევე შემოიღობა სრულად სკვერის ტერიტორია
- დაიგო 850 მეტრის მანძილზე ასფალტის საფარი, ყოფილი კანტორის შენობიდან ხიდამდე და 400 მეტრის სიგრძის საფარი გზაჯვარედინიდან აღმოსავლეთის მიმართულებით.
- სოფელ უფლისციხეში დამონტაჟდა სასმელი წყლის სისტემა.
- დამონტაჟდა დამატებითი განათება სოფლის უბნებში.
- დაიხურა უფლისციხის საჯარო სკოლის შენობა ორივე მხარეს, რომელიც იყო ღია მდგომარეობაში და მუდმივად იყო ორმხრივი ქარი, რაც პრობლემას უქმნიდა სკოლის შენობის გათბობას, ასევე შემოიღობა სკოლის ეზო.
- ,,მოიხრეშა" სოფელ ქვახვრელში 5 კმ მანძილზე შიდა გზები.
- ქვახვრელის საჯარო სკოლის შენობაში გარემონტდა სპორტული დარბაზი. ასევე აშენდა სკოლის შიგნით სველი წერტილები.
- სოფელ ქვახვრელში კეთდება კორტების მოედანი.
- ქვახვრელის საბავშვო ბაღის ეზოში დაიგო ასფალტის საფარი, ასევე მიმდინარეობს საბავშვო ბაღის სახურავის შეცვლის პროცედურები.
- სოფელ ქვახვრელში მცხოვრებ სოციალურად დაუცველი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნა საცხოვრებელი ფართით (კოტეჯით).
- უფლისციხის სკვერის წინ დაგეგმილია დაიგოს 700 კვ.მ ფართზე ფილები.

აღნიშნული მოთხოვნების ნაწილი მოგვარებულ იქნა, ნაწილი აისახება მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში.

ამასთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების საქმიანობაში. გარდა ამისა აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" მუშაობაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით ადუაშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ. გორი 2022 წლის 21 ოქტომბერი.

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ბექა ლობჟანიძე

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: დავით ადუაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ქვახვრელის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ხატია ჯალაბაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბექა ლობჟანიძე.

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით ადუაშვილის 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი დავით ადუაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის სწესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს დავით ადუაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები,

რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა დავით ადუაშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ნინო ორთანეზაშვილმა, გიორგი ქართველიშვილმა და გიორგი ზაალიშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: ბექა ლობჟანიძე;

საკრებულოს წევრი : დავით ადუაშვილი.